ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა

ბოტანიკურის ქუჩა №5 / სამღებროს ქუჩა №23




თბილისი
დეკემბერი, 2015

საპროექტო ობიექტი მდებარეობს მთაწმინდა-კრწანისის რ-ში – ისტორიულ აბანოთუბანში. თბილისის ერთ-ერთი უძველესი – აბანოთუბანი მდებარეობდა თათრის მოედნის სამხრეთით და აღმოსავლეთიდან უშუალოდ ემიჯნებოდა კლდის უბანს. მისი სახელწოდება იმით აიხსნება, რომ აქ, ადრე, შუასაუკუნეებიდან თბილისის უნიკალური მახასიათებელი – გოგირდის აბანოები მდებარეობს. მას ესაზღვრება ზედა ციხე ნარიყალითურთ, აღმოსავლეთით – წავკისწყლის პირას გამავალი კედელი, ხოლო დასავლეთით მისი გალავანი გადიოდა დღევანდელ გორგასალის პირველი შესახვევის ხაზზე, იმგვარად, რომ გვერდზე იტოვებდა ციხის (თათრის) მოედანს.


თუ როგორ ყალიბდებოდა ამ უბნის ქუჩათა სტრუქტურა XIX-XX ს-თა მანძილზე, ნათლად ჩანს თბილისის სხვადასხვა პერიოდის გეგმებზე და ფოტოსურათებზე.



ისტორიულ ფოტომასალასა და ნახატებზე კარგად ჩანს, რომ XIX ს-ის I ნახევარში, როდესაც ეს უბანი ჯერ კიდევ ტერასულ-ბანიანი სახლებით იყო გაშენებული, კონკრეტულად ამ სახლის ზუსტი ნიმუში არ მოიპოვება.




ამავე დროს XIX ს-ის მიწურულის ფოტოზე აბანოსა და სამღებროს ქუჩათა კვეთაზე გაირჩევა რამოდენიმე სახლისგან შემდგარი მიკროსტრუქტურა, რომლის კუთხის ნაწილი გალავნით მოსაზღვრული დაბალი ტერასაა, შემდეგ ორსართულიანი მოცულობა და შემდეგ მასზე ცოტა დაბალი ნაწილი.



ბოტანიკურ ქუჩას სახელი XIX ს-ის 40-იან წლებში ბოტანიკურ ბაღთან სიახლოვის გამო ეწოდა. სწორედ ამ ქუჩის ბოლოში მდებარეობდა შუა საუკუნეების ქალაქის ერთ-ერთი, უძველესი განჯის კარი და დაახლოებით ამ ქუჩის ხაზზე გამავალ გზას განჯის გზა ერქვა. ქუჩაზე შემონახულია რამდენიმე ტიპური, ძველთბილისური სახლი ფასადებზე გამოტანილი ორიარუსიანი ღია აივნებითა და დამაგვირგვინებელი მეზონინებით. ძეგლის სტატუსისა და ძეგლის ნიშნის მქონე შენობა-ნაგებობებია: №№1; 13; 16; 18; 22; 24; 28; 32 და 36.

სამღებროს ქუჩა ასევე შუასაუკუნებრივი ქუჩის ტრანსფორმაციას წარმაოდგენს უკვე XIX ს-ში და მასზე სამღებროს სახელოსნოები იყო განთავსებული. სწორედ 1881 წელს ჩატარდა ამ ქუჩის რეკონსტრუქცია და ნაწილობრივი განაშენიანება არქიტექტორ ვაჟა ორბელაძის თაოსნობით. სახლების ეს რიგი კარგად აღიქმებოდა როგორც სანაპიროდან, ასევე მეტეხის პლატოდან, თუმცა, შემდგომ ის ნაწილობრივ გადაიფარა ამ ადგილზე „ორმოც მოწამეთა“ სახელზე აგებული ეკლესიითა და ოთხსართულიანი ადმინისტრაციული შენობით. სამღებროს ქუჩაზე ძეგლის სტატუსი მიენიჭა №№1; 5; 13; 21 და 23.



საარქივო მასალის კვლევის შედეგად ირკვევა, რომ აბანოს ქუჩის ამ მონაკვეთზე განაშენიანება ისტორიული ქალაქის ჩამოყალიბებისთანავე გაჩნდა, ხოლო XIX ს. კიდევ უფრო მჭიდრო ხასიათი მიიღო. თუმცა კონკრეტულად ამ მონაკვეთზე არსებული ნაგებობები საფუძვლიანად გამოიცვალა გასული საუკუნის 70-80-იან წლებში მიმდეარე ძვ. თბილისის რეკონსტრუქციის პროცესში. შენობები

მოწესრიგდა, თუმცა, იმდროინდელი მიდგომის თანახმად, უმეტესად იგნორირებული იყო აუთენტურობა.

რეკონსტრუქციის პროექტის ავტორებმა: არქიტექტორებმა თამაზ შაშიაშვილი და ვაჟა ორბელაძემ მომაწოდეს რეკონსტრუქციის პერიოდის (70-იანი წლები) ფოტომასალა, რომელზედაც ჩანს ჯერ კიდევ ძველად არსებული მოცულობები, ამათგან: ერთი მსხვილი, ხის აივნებიანი შენობა და მის გვერდზე ქართული აგურით ამოყვანილი ვიწრო კედელი.







სწორედ ეს მასალა გახდა 70-იან წლებში ჩატარებული რეკონსტრუქციის საფუძველი, რომელშიაც შენარჩუნებულია ამ მიკროსტრუქტურის მთავარი ძირითადი პარამეტრები: დაბალი, ერთსართულიანი აგურით მოსაზღვრული ბანიანი

მოცულობა ბოტანიკურისა და სამღებროს კუთხეზე; მსხვილი, სამსართულიანი ხის აივნებით გაფორმებული მაღალი სახლი უკვე სამღებროს ქუჩის №23 და ასევე სამღებროს ქუჩისკენ მიმართული ძველი აგურით მოპირკეთებული ორსართულიანი მოცულობა. ამ ნაწილებს შორის დარჩენილი სივრცე შეივსო აგურისავე გალავნით, რომელშიაც გაჭრილი იყო კარი ღია ეზოში და შესაძლებელი იყო მის უკან ტიხრული შუშაბანდით გაფორმებულ ფლიგელში მოხვედრა.



ამჟამად ბოტანიკური №5 / სამღებროს №23 დათარიღებული ნაგებობები ამ ადგილას ისტორიულად არსებული სახლების კონფიგურაციას იმეორებს, თუმცა რეალურად 1970-იან წლებში ჩატარებული ქალაქის ისტორიული ნაწილის რეკონსტრუქციის შედეგია. მიუხედავად ამისა, არსებულ შენობებს მინიჭებული აქვს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი, რაც ერთი მხრივ პროექტის ავტორების, ვაჟა ორბელაძისა და თამაზ შაშიაშვილის რეკონსტრუქციის აღიარებას წარმოადგენს და ამასთან ერთად, ამ მეტად მნიშვნელოვან ადგილზე ძველად არსებული ისტორიული განაშენიანების დამკვიდრებას ემსახურება.



მიუხედავად სტატუსისა, სრულიად აშკარაა, რომ რეკონსტრუირებული ნაგებობები არ წარმოადგენს აუთენტურ ღირებულებას, რაც ყველაზე მეტად შესამჩნევია ინტერიერების დათვალიერებისას.





შიდა სივრცე მთლიანად რკინა-ბეტონით არის ნაგები. ღიობები მართალია მიმსგავსებულია ისტორიულ ანალოგებს, მაგრამ არცერთი მათგანი რეალურ სიძველეს არ წარმოადგენს.

შიდა სივრცეში ყურადღებას იპყრობს თვითენბურად გადახურული ეზოს კუთხეში მოყოლილი ძველი ვაზი, რომელიც დღემდე მიუყვება სახლის აივნებს და შესანიშნავ დეკორს იძლევა.




ასევე აღსანიშნავია სახლის შუშაბანდის ტიხრული ნახატი, რომელიც იმდროისთვის საინტერესოდ აღიქმებოდა, მაგრამ ვფიქრობ, რამდენადმე მოძველებულია თავისი სქემატურობით და ვერ პასუხობს თანამედროვე სარეაბილიტაციო მიდგომებს.




დასკვნა-რეკომენდაციები

ბოტანიკურის №5 / სამღებროს №23 რეგისტრირებული ნაგებობები არ წარმოადგენს აუთენტურ ღირებულებას, თუმცა, ის 1970-წლებში თბილისში ჩატარებული ძველი უბნების რეკონსტრუქციის ერთ-ერთი წარმატებული ნიმუშია და ამდენად მას ხელახლა დაუმტკიცდა ადრე მინიჭებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი.

ამ ორგვარი გარემოებიდან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ დასაშვებია არსებული ნაგებობების ფრთხილი რეკონსტრუირება საავტორო მეთვალყურეობით.

სასურველია ახალ პროექტში გამოსწორებულ იქნას 1970-იანი წლების რეკონსტრუქციის ხარვეზები, კერძოდ:

- სახლის შუა ნაწილში არსებული მუშარაბის კომპოზიცია შესაძლებელია შეიცვალოს უფრო დახვეწილი ნიმუშის მიხედვით.
- უკანასკნელ პერიოდში თვითნებურად გადახურული ღია ეზო და ამოქოლილი შესასვლელი სასურველია გაიხსნას და გამონთავისუფლდეს მასში მოყოლილი ვაზის ტანი. ამ შემთხვევაში ნაგებობას დაემატება ღია სივრცითი ელემენტი, რომელიც თავდაპირველ პროექტში იგულისხმებოდა.
- ბოტანკური ქუჩის მხარეს მიმართული ბანის ტიპის მოცულობები სასურველია ათვისებულ იქნას ღია ტერასის სახით, რაც მეტ ტურისტულ მიმზიდველობას გაუჩენს ამ ობიექტს.
- სახურავის ერთიანი, გრძივი ხაზი ვფიქრობ უმჯობესია „გატყდეს“ სამ დამოუკიდებელ ნაწილად, რაც გამოასწორებს მის ერთგვაროვნებას.
- დასაშვებად მიმჩნია შუშაბანდის რამდენადმე წინ გამოწევა სასტუმროს შიდა მოცულობის გაზრდის მიზნით, რადგანაც ეს არსებითად არ შეცვლის არსებულ სიტუაციას.
- შენობის სხვა ნაწილების გაბარიტის მცირე გაზრდა ადაპტაციის მოთხოვნიდან გამომდინარე, შესაძლებლად მიმაჩნია მხოლოდ ავტორის გადაწყვეტილებით. ამასთან, სასურველია, რომ ძირითადი პარამეტრები: მოცულობათა ურთიერთმიმართება, არსებული ღია და დახურული სივრცეების თანაფარდობა და გარე კედლების მოსაპირკეთებელი ფაქტურები შენარჩუნებული იქნას.

- ადგილის მნიშვნელოვნებიდან გამომდინარე, ფიზიკური სამუშაოების წარმოებისას აუცილებელია არქეოლოგიური მეთვალყურეობა.

ყველა ზემოჩამოთვლილი რეკომენდაციის გათვალისწინებით და ავტორთა ჯგუფის ხელმძღვანელობით, შესაძლებელია არსებულმა ობიექტმა ხელახალი რევიტალიზაცია განიცადოს და სასტუმროს ფუნქცია სრულფასოვნად შეასრულოს, ამ მეტად მნიშვნელოვანი ისტორიული უბნის რეაბილიტაციის პროცესთან შესაბამისად.

ხელოვნებათმცოდნე
ლალი ანდრონიკაშვილი